სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

27307887439415

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N151375015

რეგისტრაციის თარიღი

21.12.2015 წ

ნოტარიუსი: ცირა დიდებულიძე

მისამართი: თბილისი,მარჯანიშვილის ქ#29

ტელეფონი: 295-78-07

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდაერთ დეკემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუს ცირა დიდებულიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №29, მომმართა: **შპს "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია"-ს (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის ნომერი: 295540, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B 11068891, ამონაწერის მომზადების თარიღი: 11/05/2011, ს/კ 202904731) დირექტორმა ლეილა მესხმა.** მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **შპს "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია"ს დირექტორმა ლეილა მესხმა** (დაბ. 05.01.1968წ. პირადი №01030000800, მისამართი: თბილისი, კ. სალიების №9) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას.

მინდობილობა

„მინდობილობის გამცემი" - შპს "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია"ს დირექტორი ლეილა მესხი (დაბ. 05.01.1968წ. პირადი №01030000800, მისამართი: თბილისი, კ. სალიების №9), "მინდობილობის მიმღებს" – დიმიტრი ბოჭორიძეს (დაბ. 20.06.1971წ. პირადი №20001009456, მისამართი: თელავი ნ.ვაჩნაძის ქ. N 4), ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

წარმოადგინოს „მინდობილობის გამცემი"-ს ინტერესები ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტაცია, ცნობები, განცხადებები, აიღოს ნებართვები, დააყენოს შუამდგომლობები, გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები. ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია „მინდობილობის გამცემის" მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

- მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია ორი ათას თექვსმეტი წლის ოცდაერთი დეკემბრის ჩათვლით. ეს მინდობილობა ძალაში შედის მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ცირა დიდებულიძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა „მინდობილობის გამცემს".

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 10,00 /ათი/ ლარი, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების გადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა*, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, *თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.*

მინდობილობის გამცემი

ნოტარიუსი ც. დიდებულიძე